

ერეკლე II-ისგან დასაჩუქრებული მღვდელმთავარი

მეფე ერეკლე II მოღვაწეობდა 1744-1762 წლებში, მისი მეფობა აღინიშნება მეტად რთული პერიოდით. ეს არის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხანა.

თითქმის სამასწლიანი მწიგნობრობის ჟამს საქართველომ დიდი ძალისხმევით მაინც მოახერხა თავისთავადობის შენარჩუნება. ეს იყო ერთ-ერთი მთავარი საფუძველი იმისა, რომ თუმცა რთული ვითარება საქართველოსი XIX ს-მდე და მის შემდეგაც გაგრძელდა, მაგრამ ქვეყანაში საწარმოო ძალთა განვითარება არ შეწყვეტილა. ჩვენი ქვეყნის მოხერხებულ, მსოფლიო მნიშვნელობის გზაჯვარედინზე მდებარეობა, ქართველთა ტოლერანტული ბუნება და ქართველ ხელისუფალთა შორსმჭვრეტელი პოლიტიკა განსაზღვრავდა ვაჭრობის განვითარების მაღალ დონეს. აღმოსავლეთში არსებული ტრადიციის თანახმად, ვაჭრები გარკვეული იმუნიტეტით სარგებლობდნენ. ამის გამო კომერციული ურთიერთობები არ წყდებოდა თვით მეომარ ქვეყნებს შორისაც. ეს იყო იმის საფუძველი, რომ საქართველოს ვაჭრობის მაღალი განვითარება ფიქსირდება სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით ყველაზე მძიმე წლებშიც კი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ვაჭრობას შუა საუკუნეებშიც და ე.წ. ახალ ეპოქაშიც წამყვანი ადგილი ეკავა წინა აზიის, და არა მარტო მის, საქონელგაცვლაში.

საბაჟო შემოსავლები, როგორც სახელმწიფო შემოსავლის სხვა მუხლები, იჯარა-შესყიდვის წესით გაიცემოდა და ხაზინის მნიშვნელოვან შევსებას ემსახურებოდა.

ქართლ-კახეთის მეფე ასევე სარგებლობდა ვაჭრების მიერ შემოტანილი და მისთვის იაფად მირთმეული სხვადასხვა ფარჩულით მუსჯირისა და ჩარლუს ჩაქსოვილი ატლასით, სტამბოლური დიბისა და სალბის ატლასით, ზარბაზის ძვირფასად ნაქსოვი აბრეშუმის, ოქრომკერდით ნაკერი, გაზიდური და განჯის ტოლნულით. მემატინე გვამცნობს, რომ ეს ყველაფერი მეფე ერეკლეს შეუძენია და ბოდბელი მღვდელმთავრისთვის მიუღრთმევია, მღვდელმთავართა და სტიქაროსანთა სამოსის შესაკერად. ეს ძვირფასი ფარჩული იყო როგორც ოსმალური, ისე სპარსული, ამიერკავკასიის სახანოებისა და ევროპული წარმომავლობისა. ერეკლე თავისი ინიციატივით სტიმულს აძლევდა სხვა დიდებულებს, მათაც შეეძინათ სხვადასხვა ნივთები და ხელი შეეწყობთ ვაჭრობის განვითარებისთვის.

მეფის ძღვენი ქართული სამღვდლოებისათვის მეტად დასაფასებელი იყო, რადგანაც ქვეყანა შედარებით ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა, ამიტომ სამღვდლოებას უჭირდა ფუფუნების საგნების შეძენა. მეფის დახმარებით კი სამღვდლოება სათანადოდ შეიმოსებოდა. მათი სახით მეფე ერეკლეს ეყოლებოდა ელჩობა, რომელსაც წარგზავნიდა რუსეთში, ოსმალეთსა თუ ირანში.

მაღალი ხარისხის ქსოვილებით შეკერილი ქართული ქრისტიანული მღვდელმთავართა სამოსი სათანადო პატივისცემასა და მოწიწებას გამოიწვევდა სხვა ქვეყნების სამეფო კარზე. მღვდელმთავარნი და მათი მხლებლები მიერ ქვეყნის გადასარჩენად წარმოთქმული მჭერმეტყველური საუბრები, მოთხოვნები თუ თხოვნები იქნებოდა თანასწორთა შეხვედრა, რაც ნათლად წარმოაჩენდა იმას, რომ ჩვენი პატარა ქვეყანა სხვა დიდ ქვეყნებს არ ჩამორჩებოდა და ისიც ამ ელჩობებზე ერთ-ერთი სრულყოფილიანი წარმომადგენელი იქნებოდა.

ესე ავტორი: ცოტნე კვერნაძე, 12 წლის. სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკის საჯარო სკოლა, VIII კლასი.